

მოსწავლეთა პარლამენტი

შპს არასახელმწიფო სკოლა „ალბიონი“ მიიჩნევს, რომ მოსწავლეებს, გარდა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლებისა უნდა განუვითაროთ ცხოვრებაში საჭირო ლიდერული უნარ-ჩვევები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რომელიც ჩვენს მოსწავლეებს ლიდერის გამოცდილების მიღებაში დაეხმარება, მოსწავლეთა პარლამენტია, რომელიც, გარდა იმისა, რომ ხელს უწყობს სკოლის მისიის აღსრულებას არის საშუალება მოსწავლეებმა გამოიჩინონ შემოქმედებითობა, არ შეუშინდნენ სიახლეებს, ისწავლონ პრობლემების გადაჭრა, საქმიანობის დაგეგმვა და მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება.

სკოლაში მოსწავლეთა პარლამენტის წევრებისა და თავმჯდომარის არჩევა, დღის წესრიგის შემუშავება, საარჩევნო კამპანიისა და არჩევნების ჩატარება ეყრდნობა დემოკრატიულ პრინციპებს.

მოსწავლეთა პარლამენტის არჩევნები ჩატარდება თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, გამჭვირვალობისა და კლასების მიხედვით მოსწავლეთა თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპების (კლასიდან 1 წევრი) დაცვით.

სკოლა „ალბიონის“ მოსწავლეთა პარლამენტის მიზანია:

1. მიიღოს მონაწილეობა სკოლაში უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნაში;
2. იზრუნოს, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს საშუალება, თავისუფლად გამოთქვას მოსაზრებები სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე;
3. წახალისოს მოსწავლეები სკოლის ცხოვრების იმ სფეროების მოსაძიებლად, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას და იმავდროულად წარმოადგინონ საკუთარი თვალთახედვა გაუმჯობესების გზების შესახებ;
4. იზრუნოს მოსწავლეთა შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, როგორც სკოლის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
5. მიიღონ მონაწილეობა სკოლის განვითარების მიზნით დაგეგმილ პროცესებში და აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლასა და ქმედებებზე.
6. ადმინისტრაციასთან შეთანხმებით დაგეგმონ და განახორციელონ სასკოლო პროექტები.

მოსწავლეთა პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობას იღებენ სკოლის საბაზო (VII-IX) და საშუალო (X-XII) სკოლის მოსწავლეები. ამ კლასების ნებისმიერ მოსწავლეს

შეუძლია დაასახელოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, ან პირადად დააყენოს საკუთარი კანდიდატურა.

მოსწავლეთა პარლამენტის წევრად შეიძლება არჩეული იქნეს სკოლის VII -XII კლასების მოსწავლე, რომელსაც ახასიათებს ლიდერის თვისებები, დადებითად ხასიათდება კლასის დამრიგებლისა და სკოლის ადმინისტრაციის მიერ, მისი აქტიულობა და საქციელი სამაგალითოა, ჯეროვნად ასრულებს სკოლის შინაგანაწესს და მაგალითია სხვებისათვის.

მოსწავლეთა პარლამენტის არჩულ წევრს შეუძლია, პარლამენტის წამყვან პოზიციებზე სხვა წევრების კანდიდატურები დაასახელოს ან საკუთარი კანდიდატურა დააყენოს

. პარლამენტში არსებობს შემდეგი წამყვანი პოზიციები: თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები (ერთი საშუალო და ერთი საბაზო საფეხურის წარმომადგენელი), საპარლამენტო კომისიების თავმჯდომარეები და მდივანი.

არჩევნების პროცედურა:

- სკოლის ადმინისტრაცია აცხადებს მოსწავლეთა პარლამენტის არჩევნებს სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ.
- მოსწავლეთა პარლამენტის წევრობის კანდიდატურის (კლასიდან მინიმუმ 3 მოსწავლე) წამოყენება უნდა მოხდეს მოსწავლეთა პარლამენტის არჩევნების გამოცხადების დღიდან 2 კვირის განმავლობაში (29 სექტემბერი).
- კლასის კანდიდატების მიერ განცხადების წარდგენა ხდება სკოლის ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრულ პირთან (იურისტი-ლია ვარსიმაშვილი).
- დარეგისტრირებულ კანდიდატთა საარჩევნო კამპანია გრძელდება 2 კვირის განმავლობაში და სრულდება არჩევნების დღეს - 12 ოქტომბერს.
- მოსწავლეთა პარლამენტის წევრის არჩევა ხდება კანდიდატის შესაბამისი კლასის მიერ, წამოყენებული კანდიდატურებიდან ფარული კენჭისყრით არჩევის საფუძველზე, პრინციპით - კლასიდან ერთი წევრი.
- მოსწავლეთა პარლამენტის წევრის გამოსავლენად კლასი ქმნის ხმის დამთვლელ კომისიას (3 წევრი). კომისია აკვირდება ყუთში კლასის მოსწავლეთა მიერ თითო საარჩევნო ბიულეტენის ჩაყრის ფაქტს. ხმის მიცემის დასრულებისას ლუქავს ყუთს და ხსნის დამკვირვებელთა წინაშე.
- არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს შესაბამის კლასში ხმების უბრალო უმრავლესობას.

- ხმის დამთვლელი კომისია ადგენს ოქმს, სადაც მიუთითებს კანდიდატებზე განაწილებულ ხმებს და კომისიის დასკვნით გამოავლენს მოსწავლეთა პარლამენტის გამარჯვებულ წევრს.
- ხმის დამთვლელი კომისია შესაბამის ოქმს აბარებს სკოლის სკოლის ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრულ პირს (ლია ვარსიმაშვილი).
- საარჩევნო კამპანიის წარმართვაში კანდიდატს, შესაძლოა, დაეხმაროს მოსწავლეების ჯგუფი.
- კანდიდატს უფლება აქვს (დირექციასთან შეთანხმებით) ჩაატაროს ერთობლივი შეხვედრები, გაავრცელოს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული მასალები.

პარლამენტის წევრების არჩევნების დღე - 12 ოქტომბერი, 2022 წელი;

1. მოსწავლეთა პარლამენტის თავმჯდომარე აირჩევა პარლამენტის წევრებისაგან. თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენა შეუძლია პარლამენტის წევრებს ან/და თვითონ მსურველს, რომელიც აგრეთვე არის პარლამენტის წევრი.
2. ერთი კვირის განმავლობაში თავმჯდომარეობის კანდიდატები პარლამენტის წევრებს წარუდგენენ სამოქმედო პროგრამას. საკონფერენციო დარბაზში დირექციასთან შეთანხმებით ჩატარდება საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციები თავმჯდომარის კანდიდატურა აირჩევა ფარული კენჭისყრით. არჩევნების შედეგი გამოცხადდება იმ დღესვე.
3. პარლამენტის წევრები გამოყოფენ ხმის დამთვლელ კომისიას (3 წევრი). სასკოლო საზოგადოებას უფლება აქვს დააკვირდნენ ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცესს, ამისათვის ისინი განცხადებით მიმართავენ დირექციას.
4. პარლამენტის წევრებისაგან პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნები ფარული კენჭისყრით ჩატარდება საკონფერენციო დარბაზში. კანდიდატისთვის ხმის მიცემის უფლება აქვს პარლამენტის ყველა წევრს.
5. ხმის დამთვლელი კომისია ადგენს ოქმს, სადაც მიუთითებს თავმჯდომარეობის კანდიდატებზე განაწილებულ ხმებს და კომისიის დასკვნით გამოავლენს გამარჯვებულს.
6. ხმის დამთვლელი კომისია შესაბამის ოქმს იმავე დღეს აბარებს სკოლის სკოლის ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრულ პირს (ლია ვარსიმაშვილი).

მოსწავლეთა პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნების დღე - 19 ოქტომბერი, 2022 წელი;

გამარჯვებული გამოცხადდება არჩევნების მეორე დღეს.

მოსწავლეთა პარლამენტის პირველი სხდომა გაიმართება 21 ოქტომბერს, 2022 წელი.

- პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურებს პირველივე სხდომაზე საკუთარი შემადგენლობიდან წარადგენენ საბაზო საფეხურის და საშუალო საფეხურის წევრები (21ოქტომბერი).

თავმჯდომარე

მოსწავლეთა პარლამენტის თავმჯდომარე პასუხისმგებელია მოსწავლეთა პარლამენტის საქმიანობაზე. პარლამენტის სხვა ლიდერებთან ერთად, თავმჯდომარე განსაზღვრავს პარლამენტის მიზნებს და აყალიბებს სტრატეგიას მათ სისრულეში მოსაყვანად. მოსწავლეთა პარლამენტის აქტივობების წარმმართველ ძალას წარმოადგენს სწორედ პარლამენტის თავმჯდომარე, ვინაიდან ის, პარლამენტის დანარჩენ ლიდერებთან ერთად, ახორციელებს სხვადასხვა პროექტს. თავმჯდომარის პასუხისმგებლობაში შედის ახალი ინიციატივებისა და პროექტების წარდგენა და პარლამენტის წევრთა საჭიროებების გათვალისწინება. თავმჯდომარე ჩართულია ყველა იმ გადამწყვეტილების მიღებაში, რომელიც ეხება კომისიების თავმჯდომარეებისა და პროექტის ლიდერების დანიშვნას.

კომისია	წევრები	საქმიანობა
მართვის ჯგუფი (სპიკერატი)	მოსწავლეთა პარლამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის 2 მოადგილე (1-საბაზო საფეხური; 1-საშუალო საფეხური), მდივანი მოსწავლეთა პარლამენტის კურატორი წევრები (თითო წევრი საბაზო და საშუალო საფეხურიდან)	კომისიების დაკომპლექტება გეგმის შემუშავება; მოსწავლეთა პრობლემები; მოსწავლეთა ხმა. წინადადებების მომზადება სკოლის განვითარების სხვადასხვა საკითხებზე; პალმანეტის მენტორთან და სკოლის დირექციასთან თანამშრომლობა
საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და კომუნიკაციის კომისია	კომისიის თავმჯდომარე წევრები	სკოლის ვებგვერდზე მოსწავლეთა პარლამენტის ველის განახლება; სკოლის სიახლეების გამოქვეყნება;

		<p>მოხალისეობრივი საათები; იდეები ფინანსური სახსრების მოსაძიებლად; მოსწავლეთა მოსაზრებების კვლევების ორგანიზება; მოსწავლეთა ონლაინ ჟურნალის ამოქმედება; სასკოლო კლუბების შექმნის ორგანიზაცია</p>
ლონისძიებების კომისია	კომისიის თავმჯდომარე წევრები	<p>სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;</p> <p>საჭირო მასალებისა და დეკორაციების შექმნა-მოძიების ორგანიზაცია.</p> <p>სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებით.</p>
სასკოლო პროექტების კომისია	კომისიის თავმჯდომარე წევრები	<p>სასკოლო და სათემო პროექტების წამოწყება დაფინანსების მოპოვება</p>
სპორტის კომისია	კომისიის თავმჯდომარე წევრები	<p>სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება; სკოლის სპორტული გუნდის მართვა (ფეხბურთი, კალათბურთი); სკოლაში სპორტის წახალისება.</p>
მონიტორინგის კომისია	კომისიის თავმჯდომარე და მოადგილეები	<p>მოსწავლეთა მიერ სკოლაში ქცევის წესების დაცვაზე სასკოლო მონიტორინგში მონაწილეობა; მოსწავლეთა პარლამენტის</p>

		კომისიების მიერ ფუნქციონირების შესრულებაზე მონიტორინგი დახმარების განხორციელების მიზნით.
--	--	--

კურატორები:

ალექსანდრე ჯავახიშვილი - დირექტორი

მედეა სამსონია - დირექტორის მოადგილე

ანუკი ლუაშვილი - სამოქალაქო განათლების მასწავლებელი

მოსწავლეთა პარლამენტის არჩევნები

მოსწავლეთა პარლამენტის წევრად შეიძლება არჩეული იქნეს სკოლის VII -XII კლასების მოსწავლე, რომელსაც ახასიათებს ლიდერის თვისებები, დადებითად ხასიათდება კლასის დამრიგებლისა და სკოლის ადმინისტრაციის მიერ, მისი აქტიულობა და საქციელი სამაგალითოა, ჯეროვნად ასრულებს სკოლის შინაგანაწესს და მაგალითია სხვებისათვის.

- სკოლის ადმინისტრაცია აცხადებს მოსწავლეთა პარლამენტის არჩევნებს სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ.
- მოსწავლეთა პარლამენტის წევრობის კანდიდატურის (კლასიდან მინიმუმ 3 მოსწავლე) წამოყენება უნდა მოხდეს მოსწავლეთა პარლამენტის არჩევნების გამოცხადების დღიდან 2 კვირის განმავლობაში (29 სექტემბერი).
- კლასის კანდიდატების მიერ განცხადების წარდგენა ხდება სკოლის ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრულ პირთან (იურისტი-ლია ვარსიმაშვილი).
- დარეგისტრირებულ კანდიდატთა საარჩევნო კამპანია გრძელდება 2 კვირის განმავლობაში და სრულდება არჩევნების დღეს - 12 ოქტომბერს.

პარლამენტის წევრების არჩევნების დღე - 12 ოქტომბერი, 2022 წელი;

მოსწავლეთა პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნების დღე - 19 ოქტომბერი, 2022 წელი;

გამარჯვებული გამოცხადდება არჩევნების მეორე დღეს.

მოსწავლეთა პარლამენტის პირველი სხდომა გაიმართება 21
ოქტომბერს, 2022 წელი.

- პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურებს პირველივე სხდომაზე საკუთარი შემადგენლობიდან წარადგენენ საბაზო საფეხურის და საშუალო საფეხურის წევრები (21ოქტომბერი).